

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

სპეციალობა: მენეჯმენტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

სწავლების ენა: ქართული .

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ეცოდინებათ: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები; ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის მენეჯმენტი; მარკეტინგის მენეჯმენტისა და კონკურენციის როლი და მნიშვნელობა სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარებისათვის. შეეძლებათ: ჯანდაცვისა და ბიზნეს ობიექტებში კომპეტენტურად წარმართონ საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია და კონტროლი; განსაზღვრონ სამედიცინო ობიექტების ფინანსურ ურთიერთობათა თავისებურებები, დაფინანსების ფორმები, ძირითადი ტენდენციები და სამომავლო პერსპექტივები; მარკეტინგული მონაცემების საფუძველზე გამოთვალონ ჯანდაცვის ობიექტის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობები; პრობლემის გაანალიზება და მისი გადაჭრის გზების შემუშავება.

სწავლის შედეგი- კურსდამთავრებულს ეცოდინება: ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და ძირითადი პრინციპები. ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის მენეჯმენტი (საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლის ფუნქციები); მარკეტინგის მენეჯმენტი ჯანდაცვაში; ჯანდაცვის სფეროს ობიექტებში საინოვაციო პროცესებისა და ინოვაციების დანერგვის მენეჯმენტი; საფინანსო მენეჯმენტი ჯანდაცვაში, ფასწარმოქმნა და დაფინანსების წყაროები, ფინანსური საქმიანობის დაგეგმვის პრინციპები.

კურსდამთავრებული შეძლებს: სამედიცინო ობიექტების მენეჯმენტის ფუნქციებისა და მასზე მოქმედი მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენისა და ურთიერკავშირის განსაზღვრას; ჯანდაცვის ობიექტებში საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, მოტივაციასა და კონტროლს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანდაცვის ობიექტის მენეჯმენტის ეფექტიანობის განსაზღვრას; ჯანდაცვის ობიექტის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის პერსონალის გამოყენების შეფასებასა და ეფექტიანობის განსაზღვრას. პრობლემის გაანალიზებას და მისი გადაჭრის გზების შემუშავებას; პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას; სწავლის საჭიროების განსაზღვრას გარკვეული მიმართულებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალ. შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა;
- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, საბაკალავრო ნაშრომის წინასწარ განხილვაზე დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 21 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.